სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 7 ივნისის №150/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №72/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 29/07/2024

გასაუბრება გაიმართა 29 ივლისს 14:30 სთ, თსუ, მე-VI კორპუსი, აუდიტორია #303

სხდომას ესწრებოდა კომისიის ოთხი წევრი:

1. ნათელა ფარცხალაძე - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. იაგო კაჭკაჭიშვილი - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. სალომე ნამიჭეიშვილი - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. თეონა მატარაძე - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთი (1) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ნათელა ფარცხალაძემ წევრებს მოახსენა საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთი (1) საკონკურსო თანამდებობაზე (კატეგორია „ა“) საბუთები შემოიტანა ერთმა (1) კანდიდატმა - თამარ მახარაძემ.

საკონკურსო დოკუმენტანციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ, კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

თამარ მახარაძის შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში *(ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან)* წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“. II კატეგორიაში *(პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვანკანსიის პროფილთან)* მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში *(სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა)* მიიღო მაღალი შეფასება. IV კატეგორიის *(ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა)* ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა, რომ თამარ მახარაძე უკვე იკავებდა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის პოზიციას და ხელმძღვანელობდა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამას. ამ პერიოდის განმავლობაში ის აქტიურად მონაწილეობადა სოციალური მუშაობის სამივე დონის პროგრამების სასწავლო კურსების შექმნასა და განხორციელებაში. კონკურსანტი ასევე არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.

თამარ მახარაძე კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მას სრულყოფილად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია მას სოციალური მუშაობის დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებით, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით და ზოგადად, სასწავლო პროცესში

ჩართულობით (იხ. ოქმი #1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა”). კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არსებული და შემოთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულიად შესაბამისობაშია თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებთან. კონკურსანტის მიერ დამატებით შემოთავაზებული კურსი ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა და პრაქტიკა, საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიღრმავონ საბაკალავრო დონეზე ამ მიმართულებით შეძენილი ცოდნა, გაეცნონ თანამედროვე მტკიცებულებებს და გაიაზრონ პოლიტიკისა და პროგრამების შექმნაში სოციალური მუშაკის როლი.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიებისა და დისციპლინებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ინტერესი. საგულისხმოა შშმ პირთა უფლებების დაცვისა და მათი განათლების საკითხებზე განხორციელებული პროექტები და პუბლიკაციები. კონკურსანტის პუბლიკაციები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში, კერძოდ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულია სამი (3) სტატია. ასევე აღსანიშნავია ორი (2) წიგნის თავი და ანგარიში. თამარ მახარაძის ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. ასევე, აღსანიშნავია კონკურსანტის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, თამარ მახარაძეს ბოლო 6 წლის განმავლობაში მოხსენებები გაკეთებული აქვს ორ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა ისაუბრა სამეცნიერო კონცეფციაზე, რომელიც შეეხება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს ახალგაზრდებში. კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების დასმულ კითხვებს. მან ასევე წარმოადგინა ერთი არსებული და ერთი შემოთავაზებული სალექციო კურსის ძირითადი ასპექტები.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ თამარ მახარაძეს აქვს ღრმა ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის დიდი გამოცდილება. ის არის მიზანდასახული და სოციალური მუშაობის დარგის განვითარებით დაინტერესებული პროფესიონალი. აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. თამარ მახარაძის ახალი ვადით დაქირავება და თსუ-ს აკადემიურ სივრცეში შენარჩუნება, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითარებისთვის. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი #2)

ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შესარჩევად ჩატარდა ფარული კენჭისყრა (Election Buddy Elections სისტემის გამოყენებით). ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის ოთხი წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა თამარ მახარაძის კანდიდატურას.

გადაწყვეტილების დასაბუთება:

კონკურსანტმა, როგორც წერილობითი დოკუმენტაციების წარმოდგენის, ისე ინტერვიუს ეტაპი მაღალკვალიფიციურად გაიარა და კარგად შესძლო საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენა. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლიანია და გამართლებულია შემდეგი გარემოებებით:

კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები და პროფესიული მიღწევები სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ თამარ მახარაძის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა, დაეხმარება სოციალური მუშაობის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში.

სამეცნიერო მოღვაწეობაში გამოიკვეთა ინტედისციპლინური მიდგომების გამოყენების ინტერესი და გამოცდილება, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვის გამოცდილება. აღნიშნული პრიორიტეტები მნიშნველოვანია უნივერსიტეტის დონეზე სოციალური მუშაობის მნიშვნელობის გაზრდისა და პროფესიათაშორისი თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ასევე კურსდამთავრებულების კვლევითი უნარებისა გაძლიერებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის.

თამარ მახარაძისა და კოლეგების უკანასკნელი საერთაშორისო პუბლიკაციები შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მიგრანტ ბავშვებს და სოციალური მუშაობისთვის მნიშვნელოვან სხვა მომიჯნავე თემებს. საყურადღებოა კონკურსანტის საქმიანობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მხარდაჭერისა და სპეციალური მასწავლებლის პროგრამის შემუშავების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის წევრებმა ერთხმად მიიჩნიეს, რომ თამარ მახარაძის კარიერულ წინსვლას დიდი პერსპექტივა გააჩნია, როგორც ფაკულტეტის, ასევე, თსუ-სთვის.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი თამარ მახარაძე.

2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ასოცირებული პროფესორი **ნათელა ფარცხალაძე**

(კომისიის თავმჯდომარე)

პროფესორი **იაგო კაჭკაჭიშვილი**

(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოცირებული პროფესორი **სალომე ნამიჭეიშვილი**

(კომისიის მდივანი)

ასოცირებული პროფესორი **თეონა მატარაძე**

(კომისიის წევრი)